წელიწადი I-ლი

სამშაბათი 8 თებერვალი

ფასი 30 მან.

ბათომის ცხოვრება

გაზეთი ღირს თვიურად . . . . 800 მან.
განცხადების ფასი:
1 გვერდზე პეტიტით სტრიქონი . . . 60 მან.
4 „ „ „ . . . 45 მან.
სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმებით.

ხელმოუწერ წერილებს რედაქცია არ მოათავსებს და მათ შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთათ.
რედაქცია და კანტორა მოთავსებულია მარინეს პროსპ. საბაშვილის სახლებში, ქვედა სართულში.
რედაქტორის ნახვა შეიძლება დღის 10 ს. 12 საათამდე.

№ 28 ყოველ-დღიური დემოკრატიული ორგანო № 28

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათომის ქალაქის გამგეობა

აცხადებს ქალაქის ელექტრონის სადგურის აბონენტების სიყურადღებოთ, რომ 1921 წ. იანვრის 1-დან თანახმად ქალაქის საბჭოს დადგენილებისა, ელექტრონის ძალაზე დაწესებულია შემდეგი ნიხრი:

ჯგუფი ა . . . 1 კ-ს—135 მან. ვლ-მოტ—1 კს. მ . 14.000 მან.
„ ბ . . . „ — 180 მან. „ „ 1—5 თითო . 12.600 მან.
5 . . . 15 თითოულზე 11.000 მან.

ბინებში 1 ოთახ —50 სანთლამდე —1350 მ. სავაჭრ. დაწ უმრიცხვ.
2 „ —100 „ —2460 მ. 1ლ —32 სანთლ.—1680 მ.
3 „ —150 „ —3300 მ. 1— 50 „ —2010 მ.
4 „ —200 „ —4200 მ. 1— 100 „ —3990 მ.
5 „ —250 „ —5100 მ. 1—200 „ —7500 მ.
6 „ —300 „ —6000 მ

სამრეწველო ტარიფი: მრიცხველის ქირა თვ. 400 მან
1000 ჯ.-ს-მდე —70 მ. კ.ს. პროექტორის „ „ 10000 მან.
5000 „ —65 მან
5000 „ ზევით 60 მან.

ასეთივე ნიხრია დაწესებული ბ. ფეფელ ვის კერძო სადგურისათვისაც ქალაქის გამგეობა სთხოვს იმ აბონენტებს ვისაც ბ ფეფელოვი დაწესებულზე მეტს გადაახდევინებს აცნობონ მას ასეთ შემთხვევაში

სათანადო ზომების მისაღებათ.

51 3—1 ბათომის ქალაქის გამგეობა.

ბათომის ქალაქის საჯარო ვაჭრობის

დარბაზი

შემდეგი

საჯარო ვაჭრობა

მოხდება ოთხშაბათს, 9 თებერვალს

ნივთების მიღება გრძელდება.

54

განცხადება.

საზოგადოების არა მაშრომელ ნაწილისათვის შრომის ბეგარის შემოღების შესახებ თანახმად რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს მიერ მიღებული 1920 წ. დეკემბრის 6 სხდომის და აგრეთვე სეხალხო გვარდიის მთავარი შტაბის ბრძანებისა, ბათომის სახალხო გვარდიის საოლქო შტაბი აცხადებს რომ ბათომში და მის მიდამოებში მცხოვრებნი არა მშრომელნი ელემენტები განურჩევლად ქვეშერდომობისა 18—55 წლამდე ვალდებულნი არიან გამოცხადდენ სარეგისტრაციოთ აწ. 8, 9, 10 და 11 თებერვალს დილის 10 სათიდგან—3 საათამდე დამოუკიდებლობის მოედანზე (ყოფილ ოზიზიის მოედანზე) გვარდიის შტაბის შენობაში.

ზემო აღნიშნულ შრომის ბეგარის მოხდისაგან განთავისუფლებულნი არიან შემდეგი კატეგორიის მოქალაქენი: უმუშევრად დარჩენილნი მუშა მოსამსახურეები, უცხო მისიის მოსამსახურეები და ცნობილი პოლიტიკური რევოლუციონური ემინგრანტები.

ის პირები რომლებიც არ გამოცხადდებიან სარეგისტაციოთ თავის დროზე და გაექცევიან მობილიზაციას ჩაითვლებიან შრომის დეზერტირებათ და დაისჯებიან კანონის მთელი სიმკაცრით.

ბათომის სახალხო გვარდიის საოლქო შტაბი.

55 1—2—50

განცხადება

ბათომის სამხედრო მაღაზიის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამა წლის თებერვლის 15-ს სამშაბათს, დილის 11 საათზე, დანიშნულია

საჯარო შეჯიბრება

ბათომის გარნიზონის ჯარების პურის-საცხობი იჯარით გაცემაზე. საჯარდებულია შეჯიბრების მსურველთ შემოიტანონ საწინდარი 300000 მანეთი. ყოველ ცნობების მიღება შეიძლება მაღაზიის კანცელარიაში 8 საათიდან 3 საათამდე გოროდოკში.

ბათომის სამხედრო საურსათო მაღაზიის გამგეობა 3—3

განცხადება

თანახმად თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა, მიმდინარე წლის იანვრის 10-დან

ბათომის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს ელექტრონის სადგურების, წისქვილების, ქარხნების და ყველა ისეთი საწარმოვო და სხვა დაწესებულებების მესაკუთრეთა საყურადღებოთ, სადაც მუშაობა სწარმოებს შიდა წვის ძანქანებით, რომ მიმდინარე წლის 1 მარტიდან მათ არ მიეცემათ თხელი საბობი მასალა და ამიტომ ეხლავე უნდა მიიღონ ზომები მანქანების მაგარ საბობ მასალებზე გადასაკეთებლათ ან გაზით გასახურებლად თუ წინააღმდეგ ამ განკარგულებისა ზემოთ დასახელებულ დაწესებულებათა მეპატრონეები ან გამგენი უარს განაცხადებენ მანქანების შეცვლა-გადაკეთებაზე, მათ საწარმოვო-საარეწველო დარგები ჩაბოერომევათ და გადაეცემათ საზოგადო ან სახელმწიფო დაწესებულებებს, რომელთაც დაეკისრებათ მანქანების გადაკეთებაც და ეკსპლოატაციაც მანქანების გადაკეთებაში აშნიშნულ პირთ დახმარებას გაუწევს სახელმწიფო რკინის გზათა მთავარი სახელოსნოები მანქანების ხვა და სხვა ნაწილების დამზადებაში, მთავრობის საწყობები კი საჭირო მასალების მიწოდებით. ყოველგვარ ცნობებს ამ საკითხის შესახებ იძლევა ბათომის ქალაქის გამგეობის საალმშენებლო განყოფილება.

46 ბათომის ქალაქის გამგეობა.

განცხადება

1921 წ. თებერვლის 2 დღესა ქ. ბათომი.

ამით ვაცხადებ საყოველთაოდ, რომ თანახმად გენერალური შტაბის განკარგულებისა ყველა ქალაქ ბათომის ჯ. მისი ოლქი მცხოვრებნი დაბადებულნი 1900 წ. და აგრეთვე სამხედრო ვალდებულნი 1897, 1898 და 1899 წ. დაბადებულნი, რომლებსაც სხვა და სხვა მიზეზის გამო, სამსახურში გაწვევის ვადა ქ ნდათ გაგრძელებული უნდა გამოცხადდენ ამა წლის 6 თებერვლიდგან 15 თებერვლამდე ზიმღებ კომისიაში, რომელიც არ ს მოთავსებული ციხე სიმაგრის შტაბში სმეკალოვის ქუჩაზე სადაც იქნება მიმღები კომისიის სხდომა დილის 9 საათიდან

მიმდინარ წელს ჯარში გაწვევის დროს მოქალაქეთ უნდა მიიღონ მხედველობაში:

1 ყოველი გაწვეული ახალგაზრდა მოვალეა უეკველადზე მოაღნიშნულს ვადების მიხედვით გამოცხადდენ მიმღებ კომისიაში დათ ან იქონიონ გასაწვევი

წყება, მიღებული სათანადო კომისარიატიდან.

2. საშუალო სკოლის მოწაფენი, რომლებიც წარმოადგენენ დანიშნულ ვადაზე სათანადო მოწმობებს, სასწავლებლის უფროსებისაგან, სამხედრო ბეგრის მოხდის ვადა გადაედებათ 21 წლის შესრულებამდე, წინაალმდეგ შემთხვევაში ისინი დაუყოვნებლივ იქნებიან ჯარში გაწვეულნი.

შენიშვნა: უმაღლეს სასწავლებლის სტუდენტებს არა აქვთ უფლება ჯარში გაწვევის ვადის გადადებისა და ამიტომ ვალდებულნი არიან გამოცხადდენ მიმღებ კომისიაში.

3. არავითარი სამსახური არც კერძო, არც საზოგადო, არც მთავრობის დაწესებულებაში, არც სახალხო გვარდიაში, და არც მილიციაში არ ანთავისუფლებს მოქალაქეთ ჯარში გაწვევისაგან, ამიტომ ყველა ამ დაწესებულებათ ევალებათ დროზე გაუსწორონ ანგარიშები ახალგაწვეულნი.

4 1919 წ. 20 მაისის კანონიერთად ერთი მარჩენალთა შესახებ ეხლანდელ მორიგ გაწვევის დროს მოსპობილია.

ნ ხსენებული მორიგი გაწვევა არ ვრცელდება ქართველ მუსლიმანებზედ.

6. ყველა სამხედრო ვალდებულნი, რომლებიც სრულიად არ გამოცხადდებიან ან და გამოცხადდებიან მიიღებენ პუნქტზე 15 თებერვლის შემდეგ, მიცემული იქნებიან პასუხის გებაში სამსახურში მიღებით.

მთავრობის განკაუთრებული რწმუნებული **ბიოგბაძე.**

ბათომის მუშათა მაგიდა

თანახმათ შრომის სამინისტროს განკარგულებისა ა წ. 25 იანვრის თარიღით № 5, ყველა კერძო და საზოგადო წარმოებანი და დაწესებულებანი, რომელთა მუშა-მოსამსახურენი ღებულობენ სურსათ-სანოვაგეს ბათომის მუშათა მაგიდიდან ვალდებული არიან ა. წ. შვიდ თებერვლამდე შემოიტანონ მაგიდის საალარაში იანვრის დეფიციტის ანგარიშში ათი ათასი მანეთი (10,000) თვითეულ მუშა მოსამსახურეზე. ვინც აღნიშნულ ვადაზე არ შემოიტანს აღნიშნულ თანხას, მათ მუშა მოსამსაურეებს

შეუწყდებათ რაციონის მიცემა.

რაციონ შეწყვეტილ მუშა-მოსამსახურეთ უფლება ეძლევათ მიიღონ დამქირავებელთაგან შესაფერი კომპენსაცია ფულის სახით თანახმათ სატარიფო პალატის დადგენილებისა 23 იანვრიდგან ფულის შემოტანის ვადის გაგრძელება დაშვებული არ იქნება

3—2 ბათომის მუშათა მაგიდა.

ბათომი 8 თებერვალი.

ერის ყურადღება ისევ საბჭოთა მთავრობების ყოფაქცევას მიუპყრია, როგორც სჩანს მოსკოვი მანდამაინც არ იწუხებს თავს, რომ თავის ფილიალ განყოფილებას აზერბეიჯანს წე სიერებისკენ მოუწოდოს. აზერბეიჯანიდან ჯერ არ დაბრუნებულა ჩვენი სწრაფ მავალთა შემადგენლობა და სოხეთის მხრით ნეიტრალ ზონაში გადატრიალებას გვიმზადებენ. ბოლშევიკური პრესას კავკასიაში საქართველო უკვე მიზანში ამოუღია და განუწყვეტლივ უმენს მას...

ქართველმა ერმა არ იცის რა სიურპრიზებით გაათენდება ხვალინდელი დღე. რესპუბლიკის მთავრობამ შეაფასა რა ბოლშევიკ მეზობელთაგან ჩვენ საზიანოდ შექმნილი ახირებული მდგომარეობა, საბჭოთა მთავრობების ქონება, საქართველოს ტერიტორიაზე რომ არის, აღკვეთილად გამოაცხადა მანამდე, სანამ აზერბეიჯანი არ ინებებდა აქსტაფის ზავის შესრულებას და ჩვენი მატარებლების დაბრუნებას. გვეგონა რომ ეს უკიდურესი ნაბიჯი მოახდენდა ლიკვიდაციის აზერბეიჯანის გან მიწყობილ ფოკუსისას და რამოდენიმედ მაინც ნორმალი ურთიერთობა ჩამოვარდებოდა, მაგრამ დრო გადის და ეს კი არ ხდება. სდუმს აზერბაიჯანი, ხმას არ იღებს მოსკოვი, ხოლო სომხეთი ბორჩალოს ავანტიურას აწყობს. ბევრჯერ გვითქვამს, რომ ამ ახირებულ ყოფაში დარჩენა შეუძლებელია. ქართველმა ერმა უნდა იცოდეს თუ რას აპირებენ მისი მეზობლები, რადგან ქართველ ერს სწადს შვიდობიანი და ნორმალი ცხოვრება და ეს გამოურკვეველი ვითარება კი ამას ხელს უშლის.

აზერბეიჯანთან რაიმეს მოგვარების იმედი არ უნდა გვქონდეს, „მაგ

ეროვნული ბიბლიოთეკა
კოლეგიალური ხელმძღვანელობა
„ბათომი“
გამოსცემს ფოსტა-ტელეგრაფის
ბათომი

განცხადება

მთავრობის საგანგებო რწმუნებულის ბათომსა და მის ოლქში.

თანახმათ მუშებისათვის პირველ ხარისხის საგნების მიწოდების შესახებ ქ. ბათომის კერძო დაწესებულების მეპატრონეების თათბირის დადგენილებისა, რომელმაც აირჩია კომისია შემდგარი ე. მატიევიჩისა, ნ. ჯავახოვისა, ი. კრასევიჩისა, ფ. სპანდიკოვისა, და ი. სულაბერიძისა ბათომის კომისრის აფ. წულაძის და მუშათა მაგიდის გამგის ს. ყუფარაძის მონაწილეობით,—წანადადებას ვაძლევ ბათომის ყველა კერძო დაწესებულებათა მეპატრონეებს, რომლების მუშები არ იღებენ პურს მუშათა მაგიდიდან აასრულონ შაბათ, 12 თებერვლამდე შემდეგი:

1. წარმოადგინოს სია მუშა-მოსამსახურეთა ცრათა რაციონის აღების უფლება ქონდეთ იმ გვარათ, როგორც მუშათა მაგიდას უდგენდენ.
2. შეიტანოს ყოველ მუშა-მობამსახურეებსე, რომელიც 25.000 მან. ნაკლებს იღებს 30.000 მან. (სამი თვის ნორმა) ამიერ კავკასიის ბანკის ბათომის განყოფილებაში შრომის კომისრის აფ. წულაძის სახელზე.
3. კვიტანცია ფულის შეტანის შესახებ სიებთან ერთად წარუდგინოს კომისარიატის სამართველოში კომისიის მორიგ წევრს (დუნდ. კორ. № 18).
4. სიები დაიწერება ჩეულებრივ ქაღალდზე.

მთავრობის საგანგებო რწმუნებული ბრ. ბიოლოგაძე.

57 3—1

რომ რაღგან ეს ქვეყანა ამჟამად რუსეთის „საკუთრებაა“ ამიტომ მოსკოვის მპყრობელთ კატეგორიული წინაღადება უნდა მიეცეს, რომ ქართველი ერი მოითხოვს ერთხელ და სამუდამოთ გამოირკვეს მისი და საბჭოთა მთავრობების დამოკიდებულება. შესაძლებელია საბჭოთა პოლიტიკამ განზრახ მიჰმართა ასეთს ხალხის გამანერვიანებელ გზას, რომ მით ჩვენ ერში გამოიწვიოს მერყეობა და თვითძლიერების ეჭვები.,,

მაგრამ ამას ბოლშევიკები ვერ ეღირსებიან. საქართველოს დემოკრატიას მისმა პოლიტიკამ ბრწყინვალე გამარჯვებები არგუნა სამი წლის განმავლობაში, საქართველოს ეროვნულ განთავისუფლებით, მის გაერთიანებით და შემდეგ ამ საქართველოს საერთაშორისო ოჯახში სრულ უფლებიან წევრად შეყვანით.

ეს გამარჯვებული საქართველო ღღეს გაცილებით უფრო მეტი იმედით და სიძლიერით სდგას ერთხელ არჩეულ გზაზე. ბოლშევიკებმა ეს უნდა იცოდენ!..

კეკუ მალიობას, წაჯექ, უკუუჯექობის პოლიტიკას ბოლო უნდა მიეღოს.

უკანასკნელი სიტყვა უნდა ითქვას.

ან“ ჰო“ ან“ არა“

საქართველო „ჰო“ საც და „არა“, საც ღირსეულად შეხვდები,..

მხოლოდ გვაღირსონ მათი გადამწყვეტი სიტყვა!..

ინციდენტის ბაზე.

(დეპ. ჩხიკვიშვილი და ნუცუბიძე).

დამფუძნებელ კრების წევრებს ბ. ბ. ჩხიკვიშვილს და ნუცუბიძეს მეტად სამწუხარო ინციდენტი მოუვიდათ. დეპ. ჩხიკვიშვილმა ვერ მოითმინა პრ. ნუცუბიძის გამუდმებული ქუჩური გინება და მას ხელით შეეხო ხოლო ამ უკანასკნელმა სკამი ესროლა ჩხიკვიშვილს და გინებაც დეპ. დადიანიც მოიშველა. ყველაფერი ეს მოხდა არა დამფუძნებელ კრების სხდომაზე დამფუძნებელის დარბაზში არამედ სხდომის შემდეგ კულისებში. ხსენებულ დეპუტატთა პირად აღელვებულ განწყობილებაში.

ინციდენტი არავინ არამბობს. რომ სამწუხარო არ არის მაირამ ეს ინციდენტი არის ორ დეპუტატის პირადი საქმე დამფუძნებელის გარეშე ადგილ მქონი.

მიუხედავად ამისა სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია“. მოვლენას ზრდის უაღრეს გრანდიოზობამდე დამფუძნებელ კრებას სთვლის შეურაცყოფილად საბრძოლად გამოაქვს თავის ზარბაზნები პარტიელ სტუდენტობას უკვეთავს დემონსტრაციას და თხოულობს დეპ. ჩხიკვიშვილის გაძევებას დამფუძნებელიდან...

ბათომში ეს პარტია უშვებს პროკლამაციას და „ზიზღს“ უგზავნის ტლანქ ძალას.

ფედერალისტები ინციდენტს აძლევენ საერთო ხასიათს და მით აპირებენ ერთგვარ სარგებლობას... რაშია საქმე ბ-ნებო? რამ აგიშალათ საღერღელი. როგორც სჩანს ძალიან ნაკლებათ იცნობთ პარლამენტის ცხოვრებას.

ავსტრიის პარლამენტში ცემა ტყეპა თითქმის ჩვეულებრივი მოვლენა იყო მაგრამ ამისთვის დეპუტატების პარლამენტიდან გაძევება არ მომხდარა.

ან საქართველოში ვინ გაიზვიადებს ისე, რიგათ ორ დეპუტატის ინციდენტს როგორც თქვენა გსურთ.

ქართველი ხალხი ხედავს, რომ დეპუტატებმა ერთმანეთი შეურაცყვეს ისინი არავის არ შეურაცყვია და აქედან ის გამომდინარეობს რომ დამფუძნებელი კრება სრულიადაც არ არის შეურაცყოფილი და არც არავითარი საბაბი აქვს დამფუძნებელ კრებას, რომ ამ ორ კაცის ინციდენტში ჩაერიოს, მაშინ დამფუძნებელმა კრებამ უნდა გაარჩიოს ყოველი დეპუტატის შინაური ამბავი რახან ეს უკანასკნელი დამფუძნებელის წევრია!... ასე რომ ყოფილიყო დეპ. გრ. ვეშაპელის სააგარაკო სკანდალსაც დამფუძნებელი გაარჩევდა რის წინააღმდეგაც ალბად დამფუძნებელის სოციალისტური ფრაქციები არ იქნებოდენ, მაგრამ ეს არ მომხდარა.

ფედერალისტებმა ალბათ ეს ყველაფერი იციან, მაგრამ ამ ჟამად პოზიციას იქმნიან არჩევნებისთვის, შოულობენ ლოზუნგებს „წამებულ პარტიისთვის“ და თუ ეროვნული პარტიები გაერთიანდენ სამაგიეროთ ესენი ბენია ჩხიკვიშვილით დაიწყებენ ვაჭრობას. თუ ეს ასე არ არის რაღა დროს ამისთანა სკანდალებზე ნავთის სხმაა!.

ამას მარტო გარეშე მტრები და საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ აღძრული პარტიები დაუკრავენ ტაშს. (ესერები) ესერების და ფედერალისტების ნაწერებს მთავრობის გასაკიცხავად მიმართული ბოლშევიკები დიდი ყურადღებით სტამბავენთავის გაზეთებში დასაკვებათ აძლევენ რუსის ხალხს. ეს ყურადუნდა იღონ ნაწამებ პარტიის მამულიშვილებმა.

რაც შეეხება დეპ ბენია ჩხიკვიშვილის დამფუძნებელიდან გაძევებას განა ფედერალისტებმა არ იციან, რომ ამას ვერ მიაღწევენ, მაგრამ ეს მათი საისტორიო სარევოლუციო მოთხოვნაა.

ბენია ჩხიკვიშვილი არც ისე სხვებსავით რევოლუციის სითბოში მოვლენილი პიროვნებაა რომელიც ასე ადვილად უმართებულოთ უნდა განსწირონ მის ნდობით აღჭურავმა ხალხმა.

ასეთ ინციდენტებისგან არავინ არ არის თავ დაზღვეული და თუ ფედერალისტებს ეს საომარ გუნებაზე აყენებს შით უარესი მათთვის ამით თვით მიუდგომელ პირს დაეჭვდვის ეჭვი რომ მათ ინციდენტის გამოწვევას და მის ცეცხლის შენთებას პარტიულ ინტერესისთვის მიჰმართეს.

პატარა წერილები.

(არჩევნებისათვის)

მე ხელი მოვკიდე ძარღვების ამშლელ საქმეს:

— ყოველ დღე ვკითხულობ ქართულ პრესას.

ჩვენმა მხლებელმა ჯარისკაცებმა.

ჭოროხის პირზე ცეცხლი მოსჩანდა, საქმე მოეთავებიათ: ორი—სამი ფუთი თევზი კავებზე აცმული ეყარა. ათიოდე ჯარისკაცი იყო ცეცხლთან. ხელად ჩაირაზმენ და სამ ხედრო სალამი მოგვცეს.

„ცოტა ჩვენკენაც წამოიღეთ, ყმაწვილებო“! ხუჭრობით გადაძახე მე. „დიდის სიამოვნებით, ბატონო; ჩვენ ამელამ მოგელოდით და სწორედ თქვენთვის გვინდოდა!“ გვიპასუხეს იქიდან. მართლაც, ვახშამზე ჩინებული მოსაკითხი მოგვიგიდა ამ მეთევზეთაგან და ზოგი გზაშიდაც ვამოგვატანეს.

ღამე ბორჩხაში გავითიეთ.

დილა ადრიან ახმაურდა ჩვენი „ალბიონი.“ ის საგანგებოდ დაეწმინდათ ოსტატებს, შეეკეთებინათ, და იმედს გვაძლევდენ, რომ აჭარისწყალზე მაინც ჩაგვიყვანდა „ალბიონი“.

ღამე საგრძნობად ჭყინავდა. სისხამ დილაზე ვამოვედით წამოსასვლელად, მოუდანზე მთელი ჯარი და აფიცრები იარაღასხმული დარაზმული დგეხდა და საღამი მოგვცა. გულდაწყვეტით დავემშვიდობეთ მეც, იოსებმაც და სემოონოვის ქალმაც.

გაისმა „ვაშა“, კიდევ განმეორდა კიდევ...

წინ მაიორი ამაშუყელი წამოდგა, ჯარი „სმენად იდგა“.

„ჩვენი გულითადი სალამი და მადლობა ვუთხრათ იმათ, ვინც ჩვენ—ს—თის ბიჭებს აუტანე, მე ხომ არ ვსწევ, იმათ კი გამოადგებათ! აი ეს ქალალდიც, ეს სპიჩაც!“ უთხრა ერთმა მეორეს, რომელიც წინა სადარაჯოსკენ ეპირებოდა თურმე რამდენი ნაცნობი ვნახე... ზოგი მეზობელი, ზოგი ჩემი შეგირდი., როგორ უხაროდათ და უკკირდათ...

ს—თის მორეულ სადარაჯოზე ღამით ასულიყო მონამცვალე რაზმი და ჩვენი ართვინში მისვლის ამბავი ეთქვათ.

ჩემი ნაცნობები იმ ღამესვე წამოსულიყვენ და ღამით გინახულეს.

ორსად არ გვსმენია მცხოვრებთაგან საყვედური: ეტყობა ჯარი აქ შეგნებულად სდარაჯობს მკვიდრთა მყუდროებას და ესმის თავისი მოვალეობა ამ ხალხის წინაშე.

თითქმის ყველგან ცეგვესწრენ მცხოვრებნიც, როცა ჩვენ ჯირს ვესაუბრებოდით.

ბორჩხაში იოსებმა სალამოზე ლექცია წაიკითხა: „ქართველი მეომარი ძველად და ახლა.“ იოხები ხელში აიტაცეს და დიდხანს ძირს არ დაუშვიათ.

ეტყობა ჩვენი საქმე კარგად მიდის: ჯარს ესმის ჩვენი დროის ამბავი, ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა, თავისი მოვალეობა ქვეყნის წინაშე.

მაგრად იყავი, გულო ჩემო.! ჯერ კიდევ ბევრს მოესწრობი თურმე!

ამ ფიქრებში გართული ვუახლოვდებოდით ბორჩხას; სალამოც მოაწია.

„შეხედეთ, ბატონო, ჩვენს ბიჭებს თევზი დიუტერიათ!“ დამიძახა

ზოგისთვის—დედინაცვალი“!

უნებლიედ გაგიელვებს ეს აზრი თავში.

მივუშვი ჩემს მერანს სადავე და მივეცი ფიქრებს თავი...

რა მალე გაირბინა ამ ერთმა კვირამ! დამენანა თითქოს უკან დაბრუნება.

ჩვენ ვერ შევძელით შავშეთში გადასვლა. იქ მიიღებენ ჩვენს საჩუქრებს და მოკითხვას, ეწყინებათ, რომ ჩვენ თითონ ვერ ვნახეთ ისინი!

ვაჰმე, დროსა და ჟამის მსახვრალო სულო და სიბერეკ! სადღაა წელი და გული, თორემ ფეხითაც ხომ წავიდოდი, ჭკვა არ დაგიშლიდა!

როგორ გაუხარდათ იქ ჩვენი ნახვა! თითქოს ძმა გინდა მაინა მოსულიყოთ!

დაწვრილებით გკეკითხებოდენ ყველაფერს: როგორი მდგომარეობაა ზურგში, ვინ არიან ასეთი ეხვი საჩუქრების გამომგზავნნი და სხვა.

გვაბარებდენ წრფელ მადლობას, ფიცავდენ, რომ მტლად დაედგობიან ქვეყნის თავისუფლებას!

რამდენი წერილი გამოგვატანეს: მგონია რამდენიმე ასეული მომაქვს.

დგანან სადარაჯოებზე მხნედ, ხალისიანად; არავად ერთი სუყვედური, ერთი საჩივარი არ მოგვისმენია.

მათ გვერდში უდგანა პატიოსანი აფიცრობა. ერთმანეთშა ჯარისკაცები ეტყობა კარგად განწყობილნი არიან: „წაიღე, ბიჭო, ეს თუთუნი, ჩვენძა მხლებელმა ჯარისკაცებმა.

ჭოროხის პირზე ცეცხლი მოსჩანდა, საქმე მოეთავებიათ: ორი—სამი ფუთი თევზი კავებზე აცმული ეყარა. ათიოდე ჯარისკაცი იყო ცეცხლთან. ხელად ჩაირაზმენ და სამ ხედრო სალამი მოგვცეს.

„ცოტა ჩვენკენაც წამოიღეთ, ყმაწვილებო“! ხუჭრობით გადაძახე მე. „დიდის სიამოვნებით, ბატონო; ჩვენ ამელამ მოგელოდით და სწორედ თქვენთვის გვინდოდა!“ გვიპასუხეს იქიდან. მართლაც, ვახშამზე ჩინებული მოსაკითხი მოგვიგიდა ამ მეთევზეთაგან და ზოგი გზაშიდაც ვამოგვატანეს.

ღამე ბორჩხაში გავითიეთ.

დილა ადრიან ახმაურდა ჩვენი „ალბიონი.“ ის საგანგებოდ დაეწმინდათ ოსტატებს, შეეკეთებინათ, და იმედს გვაძლევდენ, რომ აჭარისწყალზე მაინც ჩაგვიყვანდა „ალბიონი“.

ღამე საგრძნობად ჭყინავდა. სისხამ დილაზე ვამოვედით წამოსასვლელად, მოუდანზე მთელი ჯარი და აფიცრები იარაღასხმული დარაზმული დგეხდა და სალამი მოგვცა. გულდაწყვეტით დავემშვიდობეთ მეც, იოსებმაც და სემოონოვის ქალმაც.

გაისმა „ვაშა“, კიდევ განმეორდა კიდევ...

წინ მაიორი ამაშუყელი წამოდგა, ჯარი „სმენად იდგა“.

„ჩვენი გულითადი სალამი და მადლობა ვუთხრათ იმათ, ვინც ჩვენთან ესენი გამოგზავნა, და ამ ესენი მეცხრე ღღეა ჩვენ თავს ვლებიან, ჩვენს ამბავს კითხულობენ, ჩვენი ავ-კარგი გაიგეს! მადლობ იმათ! მინდა თქვენც ი დეთ! ესენი ოცდა ხუთი წელი სხვებთან ერთად იბ ძოდენ თლისთვის! ამათ შეჰქონეს თავ ლი საქართველო; თითო ღერ ამათი, ვერცხლის ძაფებს რომ მოწამე არის ტანჯვის და მწუხა ამა თუ იმ მოთხრობისა ამათ ბირი და კატორღა გადიტანეს ხის თავისუფლებისთვის. ჩვენ ხელ კიდევ შევფიცით ამათ, არას დროს ჩვენს სიცოცხლეს დავიზოგავთ ქვეყნის კეთილდ ბისთვის. მზად ვართ მსხვერპლ ვეწიროთ დიდ მამულიშვილთა ნადერძევ საქმეს!“

გაისმა, ვაშა, იგრიალა კიდ განმეორდა, კიდევ განმეორდა კ დან კლდეზე, ხევიდან ხევში.

ჩემს ყურებს არ ვუჯეროდ შოულობდა ეს კაცი ამდენ მგ ბიარე სიტყვას, სად ჰქონდ გულში მიყუჩებული ამდენი ხლი! ის ლაპარაკობდა გრძნ გატაცებით, ცეცხლით! ან რა კეთეთ ჩვენ ამათ იმდენი? რა ცოტა რამ ყოფილა საჭირო ამათ დღესასწაული გაუთენოთ ამათ გული გაუხაროთ! „ჯარ ცებო და ბატონო აფიცრებო! სნი არა ვართ ამდენი პატივ მის! საამისო არა გაგვიკეთებ ჩვენ! ეცადეთ კიდევ მოგაკი

ხალხი საუკეთესო შვილებს სიცოცხლეს სწირავს სამშობლოს დამოუკიდებლობას, ხალხი,—მშიერი დემოკრატია, უკანასკნელ ლუფას სდებს ფრონტის დასახმარებლათ!..

და ვისაც არ ხვდა ბედნიერი ხვედრი თავისუფლების იარაღით ხელში დაცვისა,—ისიც მკერდში უდგება და ეხმარება მათ, ვინც იცავს ერს, რესპუბლიკას, თავისუფლებას!!

სად იყო და რას შვრებოდა, ამრჩეველი, ამ დროს ჩვენი „დიპიანები“, ჩვენი ბურჟუაზია და მისი ლაქია მწერლები?

ამ კითხვაზე ორნაირი პასუხის გაცემა შეიძლება.

სქემე იმაშია-თუ რომელი მხრიდან გვემუქრებოდა მტერი.

ჩვენ ხომ გვყავდა და გვყავს ორნაირი მტრები:

— შავი და წითელი!

და აი, თუ მტერი იყო წითელი ნიღაბის ქვეშ,—ბურჟუაზია ჩალახვრული იდგა, შიშისაგან კანკალებდა და—

— „საით გაქცეულაზე“ ფიქრობდა!

ოითეულს მათგანს გადახურდავებული ქონდა ასეთ შემთხვევისთვის ჩვენი ბონები უცხოეთის ვალიუტაზე და გასაქცევათ ემზადებოდა!

ამ მტერთან ბრძოლაში ქართველი ბურჟუაზია ხელის გვიშლიდა ჩვენ თავისი ლაჩრობით, პანიკით, საზიზღარი შიშიანობით!

წინააღმდეგს ვხედავდით, როდესაც ჩვენს კარებს მეფის გენერლები მოადგებოდენ.

დახსნის მაგიერ თავისი ავანტიურით უბედური რუსეთის დამღუპველი გენერლები!

ამ დროს ბურჟუაზია საიდუმლო სიხარულის ალში იწვევდა.

ამრჩეველი იკითხავს,-რატომ?

— მათთვის მეფის გენერალებს ძველი რეჟიმის პრეროგატივები მოჰქონდათ!

— მათ ხელმი ძველი, ნაცნობი დროშა ფრიალებდა, რომელზედაც შავი ასოებით ეწერა:

იყავით მხნეთ, ეოჩაღათ! თქვენს შრომას ისტორია დააფასებს! თუ რამე მწყენია, ეხოლოდ ის, რომ ჩვენც თქვენსავით ახალგაზრდები არა ვართ, რომ საჭიროების დროს ორი სამი დამე ქვეყნის სადარაჯოზე თქვენთან ჩვენც დავდგებოდ!“ ნაწყვეტ-ნაწყვეტად წამოვიძახე მე.

იგრიალა კიდევ „გაუმარჯოს“, „ბაშა, კიდევ მაიმეორეს...

ოსებმა გადაკოცნა მაიორი და სხვა ოფიცრები და ზოგი ჯარისკაცები. მძიმედ მოვართვი მე იმათ ხელი, მოვიხადეთ ქუდები და ნელ-ნელა დავსძარით ჩვენი „ალბიონი“.

დიდხანს გუგუნებდა კიდევ „ვაშა“ და „გაუმარჯოს“ დიდხანს ზანზარებდა ხევთა და ზიდულ გალმა-გამოლმა კლდეთა გამოძახილი, სანამ მთლად არ მოვეფარეთ კლდეებს.

ჩამოვურბინეთ ქლასკურს, კონცხურეთს... არც შვეიბი დაგვიხვდა, არც სეიდ გორგოშიძე, სხვაგან წასულიყვენ. გულდაწყვეტილი მოვდიოდით. მოიღრუბლა კიდეც, წამოუბერა ჭოროხის ქარმა, სადღაც ნამი დაეცა, თოვლის ფანტელაც გამოურია, თითქოს ბუნებაც მოიწყინა ჩვენი წამოსვლისას; ამინდი იცვლებოდა. მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ როცა ამ პირის განმავლობაში ადგილობრივ მკვიდრთ ამინდის ქცევას ვეტყოდით, ისინი გვეუბნებოდენ: „ბატონო, ახლა კარგი ამინდები რომ არის, სწორედ ამისთვის უნდა ველოდოთ იანვარში დიდ ზამთარკოსი: აქ ყოველთანას ასე იცის, გამოკდილება ასეთი გვაქვსო“. გამოვურბინეთ მარადიდს, მაპახელს, აჭარის წყალზე ჩამოვედით, ცოტა რამ გადავეცით იმათ, ვინც გამოგვრჩა, თუ ჩვენს მერმე მოსულიყო.

ოსები ჯარის სადგომების თვალიერებას შეუდგა. ის იყო კიდეც ჩამოვიდა მეორე სართულიდან, რომ ჯარის კაცებმა ხელთ აიტაცეს „ვაშას“ ძახილით. ბევრი ეხვეწა ოსები: „საჭირო არ არის, თქვენი ჭირიმე, კმარაო!“ მაგრამ მანამდე არ, მოეშვენ სანამ „ალბიონზე“ ხელით არ შესვეს. აქედან ოსებმა, მათ გრძნობით სავსე გამოსამშვიდობებელი სიტყვა უთხრა.

ოფიცრებს ჩვენთვის ჩინებული სადილი მოემზადებინათ.

სადღეგრძელოები წარმოსთქვეს, სალამი დაგვაბარეს და ვაშას ძახილით გამოგვისტუმრეს. გამოვცილდით პატარა სადარაჯოებს, მოვშორდით ჭოროხს და ჩვენი „ალბიონიც“ გაჩერდა: ბენზინი მთლად გამოგვლია.

გადმოვსვით სამი ოფიცერი ჯარის-კაცი, რომლებიც ბორჩხიდან მოგვყობოდა, დავისვით „ლინეიკაზე“ და დავტოვეთ „ალბიონი“. დღე და ღამის გაყრისას ამოვედით ბათომში. მეორე დღეს ჩვენი „ალბიონიც“ ამოვიდა.

ᲗᲠ—ᲫᲔ.

— კერძო საკუთრების ზეციური დანიშნულება!

— მემამულეთა ხელუხლებლობა!

— მონობა!

— ბატონყმობა!

— ამ დროს, ამ კრიტიკულ წამს, ბურჟუაზიული პრესის თავხედობა უკიდურეს წერტილამდე აღიოდა.

ჩვენი გმირები ბრძოლის ველზე იხოცებიან, მათ წმინდა ნეშტებს მინდვრის გაუმაძღარი ყორნები დასჩხავოდენ,—ბურჟუაზია კი სკანდინავებს გვიკვეთებდა და გაიძახოდა:

— მართვა გამგეობა ბურჟუაზიას!

— თავისუფლება ვაჭრუკანებს.

— პატივი და მორიდება თავადებს, ბანკირებს, სპეკულიანტებს!!

მართალია, დიპლომატიური მოსაზრებით მათი დეპუტატები ხშირად წამოიძახებდენ, „ქვეყნის დაცვის საქმეში ჩვენც თქვენთან ვართო“, მაგრამ ეს იყო შეხმატკბილი ხმა ხალხის ზურგში მახვილის მოხვრა ხებულათ ჩასაცემათ.

ბურჟუაზია ხშირათ ყმედობს თავის დაბეწვაზე, ერთიც ვნახოთ, რა ფასი აქვს ამ განცხადებებს.

ᲬᲚᲔᲕᲔᲓᲘᲜᲘᲐᲜᲘ.

ᲢᲠᲐᲞᲘᲖᲝᲜᲘᲡ ᲬᲜᲝᲒᲔᲑᲘ

ოსმალეთის დელეგაცია სევრის ზავის გადამსინჯავ კომისიისა ვის ანგორიდან წავა ქემალის განსაკუთრებულ დირექტივებით.

ბოლშევიკებს მისია (ამას წინად ჩასულა ოსმალეთში) მეტად ცუდათ მიუღიათ, ზოგან მისთვის ტალახიც უსვრიათ. სევრის ზავის გადასინჯვის შემდგომ რუსეთ-ოსმალეთის კავშირს ნიადაგი ეცვლებოა.

მოკავშირენი ხევრის ზეკის დათმობის საკონპენსაციოდ ოსმალეთს მოსთხოვენ რუსეთთან ყოვლგვარ კავშირის გაწყვეტას

ᲐᲜᲒᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲬᲜᲝᲒᲐ

სომხეთის მთავრობამ, წინააღმდეგ დროებითი ზავის პირობებისა, წინადადება მოგვცა სადგურ არარატიდან

ოსეთი ჯარის სადგომების თვალიერებას შეუდგა. ის იყო კიდეც ჩამოვიდა მეორე სართულიდან, რომ ჯარის კაცებმა ხელთ აიტაცეს „ვაშას“ ძახილით. ბევრი ეხვეწა ოსები: „საჭირო არ არის, თქვენი ჭირიმე, კმარაო!“ მაგრამ მანამდე არ, მოეშვენ სანამ „ალბიონზე“ ხელით არ შესვეს. აქედან ოსებმა, მათ გრძნობით სავსე გამოსამშვიდობებელი სიტყვა უთხრა.

ოფიცრებს ჩვენთვის ჩინებული სადილი მოემზადებინათ.

სადღეგრძელოები წარმოსთქვეს, სალამი დაგვაბარეს და ვაშას ძახილით გამოგვისტუმრეს. გამოვცილდით პატარა სადარაჯოებს, მოვშორდით ჭოროხს და ჩვენი „ალბიონიც“ გაჩერდა: ბენზინი მთლად გამოგვლია.

გადმოვსვით სამი ოფიცერი ჯარის-კაცი, რომლებიც ბორჩხიდან მოგვყობოდა, დავისვით „ლინეიკაზე“ და დავტოვეთ „ალბიონი“. დღე და ღამის გაყრისას ამოვედით ბათომში. მეორე დღეს ჩვენი „ალბიონიც“ ამოვიდა.

ᲗᲠ—ᲫᲔ.

არაზეაილისაკენ დაგვეხია, მაგრამ ჩვენ კატეგორიულად უარვყავით ეს წინადადება.

— სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გამოგზავნა ნოტა იმ უწესოების შესახებ, რომელსაც თითქოს ოსკერები ჩადიოდენ სომხეთის მიმართ იმ დროს, როდესაც უწესოებას სჩადიოდა დაშნაკელთა ბანდები. ჩვენ წინადადება მოგვცეს ალექსანდროპოლი დაგვეცალა. ჩვენ ეს ნოტა უარვყავით და სათანადო პასუხი გავეცით.

— იანვრის 20 დიდმა ეროვნულმა კრებამ ანგორაში დაამტკიცა ტაშკილატ ესასიე კანონი (ძირითადი კანონები),

— იანვრის 12 გაზ. „სლოვო“ იუწყება იმის შესახებ, თითქოს დერსიმის ქურთები იჯანყდენ ანგორის მთავრობის წინააღმდეგ. აღმოსავლეთის ფრონტის მთავარსარდლის მონდობილობით კატეგორიულათ უარვყოფ ამ პროვოკაციულ ხმებს და ვაცხადებ, რომ დერსიმის ოლქში ისეთივე ნოშვიდობიანობაა, რაგორც ანატოლიის სხვა ადგილებში. ამ ყალბი ამბების ავტორები თავს იტყუილებენ. (სდს).

ᲢᲣᲡᲐᲚᲗᲐ ᲐᲛᲜᲘᲡᲢᲘᲐ.

იუსტიციის მინისტრმა საქართველოს რესპუბლიკის იურიდიულად ცნობის აღსანიშნავად წარუდგინა მთავრობას პროექტი, დეკრეტისა ტუსაღთა ამნისტიის გამოცხადების შესახებ. პროექტის გინმარტებით ბარათში იუსტიციის მინისტრი სწერს: დიდ სახელმწიფოთა შორის ჩვენი დამოუკიდებლობის იურიდიული ცნობა ასრულებს იმ ბრძოლის ხანგრძლივ პერიოდს, რომელიც ჩვენი სახელმწიფოებრივობის გამაგრებისაკენ იყო მიმართული. ამიერიდან საქართველოს რესპუბლიკა ხდება საერთაშორისო ოჯახის სრულუფლებიან წევრად და იგი ევროპის სახელმწიფოთა შორის თანაბარ ადგილს დაიკავებს. ამ დიადი აქტის აღსანიშნავად უნდა შეწყალებულნი ეწენ ტუსაღები. დამნაშავეთა მდგომარეობის შემსუბუქება უნდა შეადგენდეს საკანონმდებლო ყრილობის პირველ საქმეს. ამ მოსაზრებათა გამო იუსტიციის სამინისტრო წინადადებას. იძლევა იქნეს მიღებული მის მიერ წარდგენილი პროექტი ამნისტიისა, რომელიც არ ს განმეორება ასეთივე აქტისა, რომელიც მიღებული იყო წარსულ წელს იანვრის 27 საქართველოს რესპუბლიკის ფაქტურად ცნობის აღსანიშნავად. ამ ორ აქტს შორის მხოლოდ ის განსხვავება აოსებობს, რომ პოლიტიკური დამნაშავეთა მიმართ უნდა გატარებულ იქმნას არა განსაკუთრებული წესი, როგორც ეს იყო წინად, არამედ საერთო კანონი ამნისტიის შესახებ. აღნიშნულ პროექტით გათვალისწინებულია იმ ტუსაღთა მდგომარეობის შემსუბუქებაც რომლებიც დატუსაღებულნი არიან ადმინისტრატიული წესით. ამ მხრით წარდგენილი პროექტი ამნისტიისა ბევრად უფრო რთულია ვიდრე პირველი პროექტი.

6 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲚᲘᲡ ᲖᲔᲘᲛᲘ

თებერვლის 6-ს ბათომი სადღესასწაულოდ მოირთო.

საქართველოს „დეიურეს“ ცნობის გამო ამ დღეს, როგორც მთელ საქართველოში, ისე ბათომშიც გაიმართა მრავალ რიცხოვანი მიტინგი. მიტინგზე მოვიდა ჯარი გვარდია და მუშები თავის კავშირებით. დამოუკიდებლობისმოყვარეობაზე ზღვა ხალხმა მოიყარა თავი.

მიტინგი საათის 11-ზე გახსნა ქალაქის მოურავმა დამფუძნებელი კრების წევრმა ბ-ნმა გიზო ანჯაფარიძემ. მან მოკლე და მგრძნობიერი სიტყვით მიმართა და მიულოცა მოქალაქეთ დღესასწაულის სიდიადე, შემდეგ ილაპარაკა მთავრობის განსაკუთრებულმა რწმუნებულმა ბ-ნმა გრ. გიორგაძემ, რომელმაც აღნიშნა თურქეთ-შედეგია საქართველოს ასეთი ბრწყინვალე გამარჯვება. შეეხო იმას თუ როგორ მტკიცე და ეროვნულ პოლიტიკას აწარმოებდა მთავრობა დღემდის და სალამი უძღვნა დამფუძნებელ კრებას და მის ნდობით აღჭურვილ მთავრობას.

ქალაქის თვითმართველობის სახელით ილაპარაკა კაპ. გოგოლაძემ, პროფესიულ კავშირების სახელით გრ. აიოლომ, სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის სახელით მემედ ბეგ აბაშიძემ, საქ. დემოკრატიულ პარტიისგან დ კასრაძემ, დაშნაკცერ პარტიისგან პეტროსიანმა, აზერბაიჯანის ეროვნულ საბჭოს სახელით მაკ ზადემ, ახალგაზრდა მარქსისტთა სახელით ანდღულაძემ. და ბოლოს ირ. დიდიძემ. ყოველ სიტყვაზე შემდეგ მუსიკა უკრავდა ეროვნული და ინტერნაციონალურ ჰიმნს. ქალაქის თავი გიზო ანჯაფარიძე საბოლოო სიტყვაში სოც.-დემ. პარტიის სახელით მიესალმა ხალხს და წაუკითხა სოც. დემოკრატებისგან წარმოდგენილი რეზოლიუცია დამფუძნებელ კრების და მთავრობის სახელზე, რაც მიტინგმა ერთხმად მიიღო. შემდეგ ხალხმა ჯარმა და გვარდიამ მუსიკით გაიარა ინტერნაციონალის ქუჩით. ამ დღეს ამინდი მშვენიერი იყო.

ამავე დღეს საღამოთი მუშათა სასახლეში საქართველოს „დეიურეს“ ცნობის საერთაშორისო მნიშვნელობის შესახებ ქართულად მოხსენება წაიკითხა მთავრობის განსაკუთრებულმა რწმუნებულმა ბ ნ გრ. გიორგაძემ ხოლო რუსულად გრ. აიოლომ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

— ქართველ სტუდენტის დღეშაბათს 5 თებერვალს გამართა ქართველ სტუდენტის ტრადიციული დღე. დღეს, ქალაქში ყიდდენ გაზეთს და ნიშნებს- ყულაბებით შეიკრიბა დაახლოვებით 500 ათასი მანეთი კლუბის, თეატრების, კინოს და რესტორანების % გადარიცხვა რამდენი შემოიტანა ჯერ არ გამორკვეულა.

— საეალდებულო დადგენილება. მთავრობის საგანგებო რწმუნებულმა საეალდებულო დადგენილება გამოსცა საზოგადო საკრებულოს 10 საათზე დახურვის შესახებ.

— შუამდგომლობა სუბსიდიის შესახებ. მთავრობის საგანგებო რწმუნებულმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რომ მიეცეს ბათომის ოლქის კოოპერატივებს სეს ხათ 5 მილიონი მანეთი.

— საქართველოში შემოსვლა. მთავრობის საგანგებო რწმუნებულმა განკარგულება მოახდინა, რომ სტამბოლიდან მოსულები არ შემოუშვენ ბათომში თუ საქართველოს საკონსულოს ვიზა არ ექნება.

ᲜᲐᲕᲗᲡᲐᲓᲒᲣᲠᲨᲘ.

5 თებერვალს გუდაუთიდან მოვიდა მოტორი „გედი“

4 თებერვალს კონსტანტინოპოლიკენ გავიდა გემი „როსსია“.

3 თებერვალს სოხუმიდან მოვიდა მოტორი „ოდლერი“ და 7 თებერვალს უკანვე გაბრუნდა.

— იალქიანი გემი „დერია“ საქართველოს დროშის ქვეშ მოვიდა სარნიდან, მოიტანა ფიურფიტლები.

4 თებერვალს სარნიდან მოვიდა მოტორი ქუთაისი.

4 თებერვალს კულევიდან მოვიდა იალქიანი გემი „ანტიგონა“

იტალიის გემი „ალბანია“ 8 თებერვალს გადის იტალიის ნავსადგურისკენ.

იტალიის გემი „იუნო“ 6 თებერვალს დაბრუნდა სოხუმიდან და დატვირთვის დამთავრების შემდეგ გავა ევროპის სხვა და სხვა ნავსადგურებისკენ.

გემი „დონეცი“ 7 თებერვალს გავიდა რესპუბლიკის ნავსადგურებისკენ.

ᲐᲜᲒᲝᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲠᲝᲒᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲛᲐᲓᲒ. ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

მთავრობის თავმჯდომარე ტევფიკ-ფაშის დეპეშა მუსტაფა ქემალისადმი.

იანვრის 28 მუსტაფა ქემალ ფაშამ ტევფიკ-ფაშისაგან მიიღო დეპეშა, სადაც ნათქვამია, რომ ანტანტის სახელმწიფოები იწვევენ ოსმალეთისა და საბერძნეთის წარმომადგენლებს თებერვლის 21 კონფერენციაზე სევრის ეელშეკრულების გადასასინჯავად. ანტანტის სახელმწიფოებს აფრთხილებენ ტევფიკ-ფაშას, რომ კონფერენციაზე უნდა გამოცხადდნენ ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების წარმომადგენლები და რომ ძხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება შესდგეს კონფერენცია და განიხილონ სევრის ხელშეკრულება. დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარე მუსტაფა ქემალ ფაშას პასუხი.

მუსტაფა ქემალ ფაშამ უპასუხა ტევფიკ-ფაშას, რომ თუ ანტანტის სურს დამოკიდებულება იქონიოს ანგორის მთავრობასთან, მან უნდა მიმართოს ანგორას პირდაპირ და არა კონსტანტინეპოლის საშვალებით, რადგანაც ეროვნული კრება ანგორაში იმყოფება. ცხადია, რომ ერთსა და იმავე ერს არ შეუძლიან სხვა და სხვა წარმომადგენლები გააგზავნოს.

მუსტაფა ქემალ ფაშამ ტევფიკ-ფაშისადმი გაგზავნილ საგანგებო დეპეშაში აღნიშნა, რომ უადგილოა მის- შუამავლობა. დადგა მოხერხებული ჟამი ეროვნული ინტერესების დაცვისა და ხტამბოლის ანგორასთან გაერთიანებისა ჩვენი პირობები შემდეგია: 1) სულთანმა თავისი „ხატ ხიმაუნი“ უნდა იცნოს ანგორის მთავრობის ეხლანდელი შემადგენლობა და მეჯლისი, 2) სულთანმა უნდა იცხოვროს სტამბოლში. მთავრობა და მეჯლისი კი ანგორაში დარჩება. 3) არ არის საჭირო, რომ იარსებოს სტამბოლის კაბინეტმა და იგი საბოლოოდ უნდა გაუქმდეს 4) ანგორის მთავრობა თავის სრულუფლებიან წარმომადგენლებს ნიშნავს სულთანთან სტამბოლში. 5) სტამბოლის მოსამსახურეებს ამტკიცებს ანგორის მთავრობა 6) ეს მოლაპარაკება ოსმალეთის ხალხს ემცნო საგანგებო დეპეშებით.

ᲒᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲘᲣᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲢᲐᲥᲢᲘᲙᲐ.

გაზ. „Yorwarts“-ში დაიბეჭდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცნობილ ბელადის ედ. ბურნშტეინის წერილი, რომელშიც ის ეხება გერმანიის ოქრის როლს ბოლშევიკების მიერ ძალა-უფლების დაპყრობაში და ბოლ შევიკურ პროპაგანდას.

„რამდენი უბედურება მოიტანა ამ პროპაგანდამ,—ამბობს ბურნშტეინი, რამდენი მუშის სისხლი დაიღვარა ტყუილა უბრალოთ, ამას ჩვენ მოგვაგონებს ჩეხოსლოვაკიაში მომხდარი უკანასკნელი ამბები. მაგრამ ეს ამ ჟამად არ გვაინტერესებს ჩვენ.

ვიცით, უფრო მართალი, რომ ჭეათ სინამდვილემ გვიჩვენა, თუ რა როლს თამაშობს ფული მოსკოვის საერთაშორისო გამოსვლებში, ყოველივე ეს ნაკლებად იცის ფართე საზოგადოებამ. მაგრამ იმ საშვალებებს გამოსაცნობად, რომელსაც მოსკოვი მი-

საღვინე გასტრონომიული მაღაზია

იყიდება

დაწმენდილი დაცდილი ბუმბული

იმპერიის რომ კონიაკი „IMPERIAL“

დასხვასასმელები მაღალი ღირსებისა

საკმაოდ სახლი ძმ. სესიაშვილებისა და ამხ.

25—8

მარნავს, საკმაოა ავსტრიის სოციალისტური მთავრობის მიერ გამოქვეყნებული ფაქტები. ავსტრიის მთავრობამ გამოაქვეყნა ცნობები იმ თანხების შესახებ, რომელსაც აწვდიდა მოსკოვი თავის აგენტებს ავსტრიის სოციალისტური მთავრობის დასამხობათ, რომელიც არ ეოსწონდა მოსკოვის კომისარებს.

რა ხარჯები გასწია მოსკოვმა. რომ აჯანყებების მოწყობით თავზე მოეხვია გერმანიისათვის მართვა გამგეობის ისეთი ფორმა, რომელიც არ სურდა ხალხის დიდ უმრავლესობას და რომელიც აუოაცხელ უბედურებას უმზადებდა გერმანიის ხალხს. და ეს ფურცელი მოსკოვის საიდუმლოებას შეადგენს.

მაგრამ თუ გავიხსენებთ აჯანყებებს რურის ბასეინში, ცენტრალურ გერმანიაში, ბავარიაში და სხვაგან, რომელშიც ბოლშევიკებმა თავისი წვლილი შეიტანეს, მაშინ ამ ხარჯების რამოდენიმე მილიონათ ანგარიში არ იქნება გაზვიადებული

შემდეგ ბერლინ-ეინი იხსენებს კომმერვალდში ლენინსა და ლედებურს შორის მომხდარ კამათს და გადადის გერმანიის ძველი მოიგრობის მიერ ბოლშევიკებისათვის მიცემულ სუბსიდიებზე.—ლენინმა და მისმა ამხანაგებმა, გვამბობს ბერნშტეინი, მართლაც მიიღეს გერმანიის ძველი. მთავრობისაგან დიდი თანხები. მე ამის შესახებ გავიგე 1917 წლის დეკემბრის დამლევს. ერთი მეგობრის საშვალებით მე ოფიციალურ წყაროებთან მყოფ პირისგან მივიღე ამის დამამტკიცებელი ცნობები. ვერ გავიგე მხოლოდ თანხების რაოდენობა და ვინ იყო შუამავლები ამ საქმეში. ახლახან მეტად საინტერესო წყაროებიდან მე გავიგე, რომ აქ ლაპარაკი იყო პირდაპირ ზღაპრული თანხებზე—50 მილიონ მარკაზე მეტი ოქროთი, ასე რომ ლენინისა და მისი ამხანაგებისათვის არ იყო საიდუმლო თუ საიდან მოდიოდა ეს თანხები.

მე ვიცი თუ რა საბუთებს მიიყვანებენ ბოლშევიკებისათვის ფანატიური დახმარების გაწევის საესარგებლოთ მილიტარისტული პოლიტიკის თვალსაზრისით

სამხედრო პირმა, რომელმაც მიამბო ყოველივე ეს, დაუმატა, რომ მოკავშირე სახელმწიფოების პარლამენტის გამოჩენილმა წევრმა შენიშნა, რომ გერმანიის მხრივ ეს წინასწარ გამოანგარიშებული პოლიტიკა არისო.

არა ლენინისა და მისი ამხანაგების ბრალია, რომ სხვა მდგომარეობა შეიქმნა.

მათი მუშაობის ერთი შედეგი ბრესტ-ლიტოვსკი, და თუ როგორ ეპირა თავი გერმანიის უმაღლეს სარდლობას ჯერაც არ დავიწყებია არც ტროცკის და არც რადეკს. გენერალ მგოფმანს, რომელიც მათთან მოლაპარაკებას აწარმოებდა, ხელში ეკავა ისინი, და ეს მან კარგათ აგრძნობინა ბოლშევიკების დელეგატებს.

საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის თვალსაზრისით ამ ბნელ ფურცელის ნათელი უნდა მოეფინოს პირველ ყოვლისა შუშათა პარტიების. პოლიტიკური მორალის თვალსაზრისით.

თუ მე სწორი ცნობები მომაწოდეს, ლენინმა ერთ დროს განაცხადა, რომ «მისი საქმეა თუ საიდან იღებს ფულს».

ლენინი არ ფიქრობდა თუ რა მოსაზრებებით ხელმძღვანელობდენ ის პირები, რომლებიც სუბსიდიებს აძლევდენ მას და მან ეს ფულები სოციალისტური რევოლიუციის მოსახდენათ მოიხმარა. ის (ლენინი) რომ ასე მოიქცა ცერ უარვყოფთ სად მიგვიყვანდა სოციალისტური ინტერნაციონალი, ის რომ ასეთ პოლიტიკურ საქციელს დასაშვებად სთვლიდეს?—ბოლოს და ბოლოს ლაპარაკიც შეუძლებელი იქნებოდა სოციალისტებს შორის ნდობაზე. და მართლაც ლენინმა და მისმა ამხანაგებმა ხელი შეუწყვეს სოციალისტებს შორის, მიუხედავათ აზრთა სხვა და სხვაობისა, არსებულ ნდობის მოსპობას.

რაც შეეხება ომსა და ზავს—ბოლშევიკების მოქმედებას არ შეუწყვია ომიანობის ხანის შემოკლებისათვის წინააღმდეგ,—უფრო გაახანგრძლივა ის. მართალია ამან მიიყვანა ისინი ძალა-უფლებამდე, რომელსაც დღემდიც არ მიუღია რუსის ხალხისთვის მშვიდობიანობა. ის მცირე რეფორმები, რომლებიც მართალ გაატარეს მათ, წვეთია ზღვაში იმ უბედურებათან შედარებით, რომლებიც მოუტანეს ბოლშევიკებმა მოუტანეს რუსეთს თავის ბატონობის დროს ასეთივე შედეგს, უარესს თუ არა, ვხედავთ ყოველივეს, როდესაც რომელიმე ქვეყნის მოვლენათა შლა-განვითარებას ბოლშევიკების გავლენა ემჩნეოდა. სოციალისტური ინტერნაციონალი გაბრწყინეს მათ. და როცა იფიქრეს თუ რა გახდა ინტერნაციონალი და რათ შეეძლო მას ყოფილიყო, გსურს ნათელი მოჰფინო 1917 წლის ბნელ წარსულს

მუშათა მოძრაობა.

უმუშევრობა.

„ჰამბურგერ ეიტუნგი“ იძლევა შემდეგ ცნობებს უმუშევრობის შესახებ, რომელმაც თავი იჩინა ყველა დიდ ქვეყნებში.

ეი რას ამბობს წერილის ავტორი გერმანიის შესახებ. უმუშევრობა საგრძნობია განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც წარმოება მუშაობს ექსპორტისათვის. ეს წარმოება ცუდ მდგომარეობაშია, რადგან გერმანიის ვალიუტის კურსი უფრო მაღალია ვიდრე ომის გათავების რამოდენიმე ხნის შემდეგ. იყო დრო როცა გერმანიის ვალიუტის კურსი ისე დაბალი იყო, რომ გერმანიის წარმოებას არავითარი კონკურენცია არ ეშინოდა

შედეგი ამისა ის იყო, რომ გერმანიამ გაყიდა საზღვარ გარეთ ყველა თავისი საქონელი, რამაც გამოიწვია შიგნით საქონელზე ფასების ზღაპრული ზრდა.

ფასების ეს ზრდა გრძელდებოდა, სარგებლიან პირობებში საზღვარ-გარეთ საქონლის გატანის საშვალება კი მოისპო, რადგან ვალიუტა სხვა ქვეყნებშიც დაეცა და გერმანულ ფირმებს კონკურენციისათვის გაძლება აღარ შეეძლოთ.

ამიტომ ექსპორტისათვის მომუშავე წარმოების დარგების მდგომარეობა დღითი დღე უარესდებოდა, რასაც ყველაზე მწვავედ მუშები განიცდიდენ.

ისინი რჩებიან უმუშევრათ. წერილის ავტორი მიუთითებს პლაუენზე, რომელიც არის ცენტრი საქსოვი წარმოებისა საქსონიაში და ზონებერგზე, რომელიც სათამაშოების დამამზადებელი ცენტრია ტიუნგიაში, სადაც მუშაობა სრულიად შეწყდა.

ძნელია უმუშევართა რიცხვის გამორკვევა გერმანიაში დაახლოებითი სტატისტიკით უმუშევართა რიცხვი 2 მილიონს უდრის, ამას უნდა მიუმატოთ რამოდენიმე მილიონი მუშა, რომელთა სამუშაო დღე შემოკლებულია.

უმუშევრობა ინგლისში

ვინაიდან ინგლისის მუშათა პარტიამ უარი განაცხადა უმუშევრობის მიზეზების გამომრკვევ კომისიაში მონაწილეობაზე, მთავრობას აზრათ აქვს შესცვალოს თავისი წინადადებანი და შეადგინოს ერთი საგამომძიებლო კომისია ორის მაგიერ. საეჭვოა რომ ეს წინადადება მიღებული იქმნეს, რადგან მუშები კატეგორიულათ მოითხოვენ საგამომძიებლო კომისია შედგენილი იქნეს მუშებიდან.

შრომის ბირჟების მიერ შედგენილ ცნობების თანახმად, უმუშევართა რაცხვი 1920 წ. 31 დეკემბრისათვის უდრიდა 748.000, ე. ი. წარსულ კვირასთან შედარებით გაიზარდა 86,000—ი. ეს ციფრები არ არის სწორი მაჩვენებელი უმუშევართა რიცხვისა, რადგან მათი დიდი ნაწილი აღრიცხული არ არის.

უფრო სწორი ცნობებით უმუშევართა საერთო რიცხვი ინგლისში 1.448 000 უდრის.

საერთაშორისო შრომის კომისია.

ნაციათა ლიგასთან არსებულ შრომის საერთაშორისო კომისიის საბჭომ, რომელსაც 12 იანვარს დაეწყო მუშაობა, შეიკრიბა უკვე 11 იანვარს დღის წესრიგის გამოსამუშავებლათ. საბჭომ უნდა გამოიმუშაოს თავისი ბიუჯეტი 1921 წლისათვის, მაისის ბოლო რიცხვებში ჟენევში მიწვეულ მუშათა კონფერენციისათვის დასამტკიცებლათ წარსადგენათ.

ერთი მთავარი კითხვათაგანი, რომელიც უნდა განიხილოს კონფერენციამ არის ვაშინგტონში 8 საათის სამუშაო დღის შესახებ მიღებულ კონფერენციის გადაწყვეტილება შვეიცარის ფედერატიულმა საბჭომ წინადადება მისცა შრომის კომისიის საბჭოს მოეხსნა ეს საკითხი დღის წესრიგიდან, მაგრამ საბჭომ უარი განაცხადა:

ისპანიის საქარხნო კომიტეტების კავშირმა მიმართა შრომის საერთაშორისო კომისიას პროტესტით ისპანიის მთავრობის მიერ მუშათა კოალიციონურ უფლებების შეზღუდვის გამო და სთხოვა დახმარება

კომისია შეეცდება გაიწვიოს ისპანიის მთავრობა სამკდიატორო სასამართლოში.

სგჯოთა რუსეთში.

გლეხები და ბოლშევიკები

„ვ. რ.“ მოთავსებულია სიუბარი რუსეთის ცენტრალური გუბერნიის გლეხთან, რომელიც საუცხოოდ გვიხატავს დამოკიდებულებას სოფელსა და ბოლშევიკებს შორის.

„მოდის ჩვენთან სოფელში კომისარი. რასაკვირველია, რა უნდა უწოდო სხვა! ვინმე მამა.....

ყვირის, იგინება. მოიტანე ის, მოიტა ის. მარტო „მომეცი“.

ჩემთვის, შეიძლება ვთქვა, მეფის დროს ურიადნიკსაც არ უყვირია, აქ კი ვიღაც გაბერილი რენჩი (ალბათ ფრენჩი) იგინება და ილანძღება. შემდეგ კი: „ამხანაგებს“, მუშათა და გლეხთა მთავრობა» და სხვა!

რასაკვირველია, ახლა ჩვენც ვიცით თუ რა მოავრობაა. ძველათ, როცა ურიადნიკი იგინებოდა, ჩვენ ვდუმდით. ახლა კი ორც ჩვენ გაჩუმდებით და გინებასაც სამწილ დაუბრუნებთ. წავა ისე ხელ ცარიელი.

ვერაფერს ისინი ჩვენ ვერ გვიზამენ. ლანძღვითა და გინებით საქმეს ვერ გააკეთებ.

ვცხოვრობთ ჩვენ ჩვენთვის, თქვენა კი ქალაქელებო თქვენთვის იცხოვრეთ.

შემდეგ ეშმაკობასაც მივმართეთ. მოდის კომისარი.

— მოგვეცით ცხენები, შეშის მოსაზიდათ.

კარგი, წაიყვანე.

გამოიყავთ თავლიდან, ცხენი კი კოჭლობს.

უკან მიყავთ. პატრონი ჭკვიანი კაცია, ნალში ცხენს ლურსმანი მოუბრუნა.

ან ახდენენ ურმების მობილიზაციას.

წაიყვანე, ქენი სიკეთე.

პატრონმა, როგორც კი დაბრუნდა ქალაქიდან, ერთი ბორბალი მოხსნა, და დამტვრეული გაუკეთა დ ეებნება კომისარს: მოიტა რით გავაკეთო და მაშინ წაიყვანეო.

წავა ცალავ ხელ ცარიელი. ასე ვცხოვრობთ.

ხშირათ ბოლშევიკების რაზმები მოაგროვებენ პურს ან სელს, მოუყრიან თავს საწყობებში, გლეხები კი ცეცხლს წაუკიდებენ. ორც ჩვენ, მგრამ ორც თქვენ. ჩემს ნაოფლარში ქალალდებს მაძლევ, ვის სჭირია ის?

მოვლენ ძროხის საყიდლით რეკვიზიციის წესით, ჩემიანის დავკლავ და მათ არ მივცემ.

ასე ვცხოვრობთ, როგორც ისინი ამბობენ, სამოქალაქო ომში. რასაკვირველია, ეს ცუდია, ცოტა ორი მასში კარგი რამ. ცხოვრება კი ორ გამწარებაა, მაგრამ რაგორ გვიბრძანებთ თქვენ...

სოფელში თითქოს ძველებური წესრიგი მყარდება. პირველათ შეგვესიენ ქალაქიდან ვიღაც „სტრაკულიანტი“ კომუნისტები, სოფლელები წამოიწყეს, დიდხანს არ დაყვიათ. გავაყენეთ.

მიწა ჩვენ მართლა მივიღეთ. ამისთვის მადლობელი ვართ. მაგრამ ყოველგან ჩვენთვის არ მოუცია. მემამულეებისაგან ჩამორთმეული მიწა. მეზობლათ კარგი დიდი მამული იყო. კომისრებმა ის დაიტოვეს, ამ მუშები დაამუშავებენო. მე ვიყავ იქ ერთჯერ. ორივენ არ მუშაობს ჩვენ კი მათზე უკეთესად დავამუშავებდით ამ მიწას.“

ნეტარ ილი რედ. მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში დამისტამბოთ შემდეგი.

რადგანაც ამ ბთლო დროს სოფ. გადოებაში დიდი მითქმა მოთქმა ბათომის სამხედრო სასურსათო მაღაზიაში ბოროტ მოქმედებათა შესახებ და ნაცნობ მეგობარნი მე მეკითხებიან თუ რაში მდგომარეობს საქმე ამის გამო მე ვაცხადებ პირადად ნაცნობ მეგობართა და დაინტერესებულ პირთა საყურადღებოთ, რომ ა. წ. 8 იანვრიდან მე არ ვარ ბათომის სამხედრო სასურსათო მაღაზიას და ამ რიგად ხსენებულ მაღაზიასთან არავითარი დამოკიდებულება არა მაქვს.

მაიორი **ივანე ხუნდაძე**

რედაქტორი კ. ძავთარაძე

დაიკარგა

პირადობის სურათიანი მოწმობა მოცემული საქართველოს რესპუბლიკის საკონსულოდან 1920 წლის ივნისის 15-ს, ევგენი მაქსიმეს წულაძის სახელზე ჩაითვალოს გაქმებულათ.

მიიღება ხელის მოწერა 1921 წ

ყოველდღიური გაზ.

„ბათუმის ცხოვრებაზე“

თვიური ფასი ქალაქში 800 მან. ქალაქ გარეთ 1200 მან. მუშა მოსამსახურეთათვის და მასწავლებელთათვის ფას დაკლებით

ხელ მოწერა მიიღება მარინეს პროსპექტზე საბაშვილის სახლში.

ელექტრო მბეჭდავი სტამბა. ვ. შმაევსკისა. მიხაილოვის, ქ. №21 ბათუმი.